

გამოყენების ინსტრუქცია

ანაფტინი® ბები კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელი

ანაფტინი® ბები კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელი წარმოადგენს ბიო-ადჰეზიურ თრალურ გელს. ის სწრაფად ქმნის დისკომფორტისა და ტკივილისგან დრმილების დამცავ გამჭვირვალე ფენას. მისი მცენარეული ინგრედიენტები ხელს უწყობს ტკივილისა და სიწითლის შემცირებას დაზიანებულ უბანზე.

აპლიკატორს აქვს სილიკონის ჯაგრისი, რომელიც ახდენს დრმილების მსუბუქ მასაუირებას, რაც უზრუნველყოფს კბილების ამოჭრასთან დაკავშირებული დისკომფორტისა და სიმპტომების შემსუბუქებას.



ანაფტინი® ბები კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელი არ შეიცავს ადგილობრივ საანესთეზიო საშუალებებს, სამკურნალო საშუალებებს, ალკოჰოლს ან შაქარს.

ანაფტინი® ბები კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელი არ იწვევს წვის შეგრძნებას წასმისას და აქვს ბანანის სასიამოვნო გემო.

გამოყენების წესი:

აიღეთ დაზიანებული უბნის დასაფარად საკმარისი გელი და ნელა შეიზილეთ დრმილზე აპლიკატორის გამოყენებით.

ახალგაზრდა პაციენტებში ფენის წარმოქმნისა და ტკივილის შემსუბუქების ხანგრძლივად შენარჩუნებისთვის სასურველია გელის გამოყენება ბავშვის კვების შემდეგ და ძილის წინ. გამოიყენეთ რამდენჯერაც საჭირო იქნება. დაახურეთ ხრახნიანი თავსახური ყოველი გამოყენების შემდეგ. მოაშორეთ პროდუქტის ნებისმიერი ნარჩენი, რაც შეიძლება ხელს უშლიდეს გელის შემდგომ გამოყენებას.

შემადგენლობა:

წყალი, პოლივინილპიროლიდონი (პვპ), მალტოდექსტრინი, პროპილენგლიკოლი, პოლიეთილენგლიკოლი 40 პიდროგენირებული აბუსალათინის ზეთი, *Aloe barbadensis*, ქსანტანის გომიზი, არომატიზატორი, კალიუმის სორბატი, ნატრიუმის ბენზოატი, ეთოლენდიამინტეტრაქმარმჯავას დინატრიუმი, ნატრიუმის ჰუალურონატი, ქსილიტოლი, ცეტილპირიდინიუმის ქლორიდი, გლიცირეტინის მჟავა, *Crocus sativus*.

სიფრთხილის ზომები:

აპლიკატორისა და გელის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით ყოველი ტუბი ანაფტინი® ბეიბი კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელით გამოიყენება მხოლოდ ერთი პაციენტისთვის. ანაფტინი® ბეიბი კბილების ამოჭრისას გამოსაყენებელი გელი უკუნაჩვენებია ანამნეზში პრეპარატის ნებისმიერი ინგრედიენტის მიმართ ჰიპერმგრძნობელობის მქონე პაციენტებში. თუ ხართ ორსულად, პრეპარატის გამოყენებამდე მიმართეთ ექიმს.

გაფრთხილება და სიფრთხილის ზომები:

შურადღება:

პრეპარატის წასმა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მოზრდილის მიერ.

მოცემული სამედიცინო ხელსაწყო არ არის სათამაშო! არასდროს დაუტოვოთ ის ბავშვს. არსებობს დახრჩობის რისკი!

გამოყენებამდე შეამოწმეთ სამედიცინო ხელსაწყო დაზიანებების ნიშნების თვალსაზრისით და ყურადღება მიაქციეთ, რომ გელის გამოყენების დროს შემთხვევით არ მოძრეს აპლიკატორის თავი. ამ შემთხვევაში, შეწყვიტეთ მისი გამოყენება.

არ ეცადოთ დაზიანებული ნაწილის ხელახლა მორგებას.

შეწყვიტეთ ხელსაწყოს გამოყენება გელის გაუონვის შემთხვევაში.

არ გამოიყენოთ ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ ან ტუბის დაზიანებისა თუ გაუონვის შემთხვევაში. შეინახეთ ოთახის ტემპერატურაზე, გამაცხელებელი საშუალებების პირდაპირი ზემოქმედებისგან შორს.


არ გაყინოთ.

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

ზედა კბილები



ქვედა კბილები



მოცულობა:

10 მლ

მწარმოებელი:

ალიანს ფარმა სრლ (Alliance Pharma Srl.)
რესტერის გამზირი 5, 20124 მილანი, იტალია

დისტრიბუტორი:
ბერლინ-ხემი აბ (მენარინი ბრუკ),
გლინიკერ ვეგ 125, 12489 ბერლინი, გერმანია

რედაქტირების თარიღი: 09/2016